საქართველოს იურისტთა კავშირი

GEORGIAN LAWYERS' UNION СОЮЗ ЮРИСТОВ ГРУЗИИ

ჟურნალი გამოდის გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ფინანსური მხარდაჭერით

The journal is editted with the financial support of United Nations High Commissioner for Refugees

Журнал выходит при финансовой поддержке Верховного Комиссариата ООН по делам Беженцев

«სამართალი»

სამეცნიერო-პრაქტიკული იურიდიული ჟურნალი

"LAW"

Scientific-practical juridical journal

"ПРАВО"

Научно-практический юридический журнал

№7-8, 2002

ISSN 0868-4537

© ჟურნალი „სამართალი", 2002
© Journal "Law", 2002
© Журнал "Право", 2002

მისამართი: 380007, თბილისი, თავისუფლების მოედანი №4
Address: Liberty Square 4, Tbilisi, 380007
Адрес: 380007, Тбилиси, Площадь Свободы №4
Phone 923880, 923882, 984797 (108), 230904
Fax: 23 09 04 **E-mail:** glu@wanex.ge

საძიებელი

ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა სამართლებრივი დაცვა

კონვენცია თავშესაფრის მაძიებელი პირის მიერ ევროგაერთიანების ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში წარდგენილი განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს განსაზღვრის შესახებ – დუბლინის კონვენცია 7

ბიძინა სავანელი – ლტოლვილის სტატუსის დადგენასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი 14

საკონსტიტუციო სამართალი

გივი ლობჟანიძე – აშშ სამართლებრივი სისტემა და სამართალდამცავი ორგანოების სტრუქტურა 17

გოჩა ფიფია – სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების ურთიერთობის კომპეტენციური საფუძვლები საქართველოში 22

პაატა დავითაია – კონსტიტუციური ზედამხედველობისა და ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა 27

სამოქალაქო სამართალი

შალვა ქურდაძე – გამარტივებული წარმოების არსი სამოქალაქო პროცესში 29

გიორგი წაქაძე – „საქართველოს სახელით" (მოპასუხის მოსაზრებები) 34

ვახტანგ მაჭავარიანი – გადასაპირებელი თამასუქის აქცეპტის არსი და იურიდიული ბუნება 39

სისხლის სამართალი, კრიმინოლოგია

ზაზა ბეროზაშვილი – საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების და მათი პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა 43

ენოკ აზარიანი – სისხლის სამართლის მეტასამართლებრივი წყაროები 52

ალეკო ტაბატაძე – საზღვარგარეთის სახელმწიფოებში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი პრინციპები (შედარებითი მეთოდი) 55

პეტრე დაუთაშვილი – რელიგიური წესის აღსრულების უკანონოდ ხელის შეშლის სამართლებრივი პრობლემების კრიმინოლოგიური ასპექტები 58

სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინალისტიკა

ომარ ჯორბენაძე – აღკვეთის ღონისძიების სახით შინაპატიმრობის შერჩევის ზოგიერთი საკითხი 60

ნინო სულაბერიძე – აღკვეთის ღონისძიებები და მისი გამოყენების პირობები 66

ვარლენ სიმონიშვილი – შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს, ორიენტირის არარსებობის შემთხვევაში, გვამის აღმოჩენის ადგილის ზუსტად დაფიქსირებისათვის /პროკურატურის მუშაკების საყურადღებოდ/ 69

სამართლის ისტორია, თეორია

გოჩა ფერაძე – რამდენიმე ახლად აღმოჩენილი გარემოების შესახებ ვარლამ ჩერქეზიშვილის ბიოგრაფიიდან 70

გიორგი თუმანიშვილი – სამართალდარღვევების პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით XII ტაბულათა კანონების ასპექტში 74

გიორგი თუმანიშვილი (უმცროსი) – ცნების „ქორწინება", როგორც იურიდიული ტერმინის განმარტების არსობრივი და სამართლებრივი ასპექტი 78

გიორგი თუმანიშვილი
(უმცროსი)

ცნების „ქორწინება“, როგორც იურიდიული ტერმინის განმარტების არსობრივი და სამართლებრივი ასპექტი

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეხებით ცნების „ქორწინება“, როგორც იურიდიული ტერმინის განმარტების არსობრივ და სამართლებრივ ასპექტს.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ტერმინის განმარტებისას, თვისობრივი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელი მეცნიერების, მსოფმხედველობის კონცეფციის ან მენტალური ფასეულობების იერარქიის სიბრტყეში იგება განმარტების მოდელის კონსტრუქცია.

სიტყვის განმარტება, ჩვენი აზრით, ასახავს იმ აზრობრივ არსს, რომლის მატარებელია სიტყვა, გაგებული როგორც „ნიშანი“. აღნიშნულიდან გამომდინარე კონკრეტული სიტყვის განმარტება მოიაზრება, როგორც ისეთი სიტყვიერი კონსტრუქცია, რომელსაც ძალუძს იყოს მატარებელი იმისა, თუ რა შინაარსობრივი შევსება ენიჭება ადამიანის მიერ კერძოდ ამ სიტყვას.

თუ ადამიანს განვიხილავთ, როგორც საზოგადოების ერთეულს, რომელთა სრული ერთობლიობა შეადგენს ისეთ მოცემულობას, რომელშიც პირად კომუნიკაციურ ხმოვან საშუალების (ანუ ენის) ერთ-ერთი განუყოფელი ელემენტი გახლავთ კერძოდ ის სიტყვა, რომლის განმარტებაზეც არის საუბარი, შეიძლება ითქვას, რომ განმარტების შინაარსობრივი შევსება არის მიღებული, იდენტიფიცირებული და აღქმული ამ მოცემულობაში (ანუ, სხვაგვარად – საზოგადოების მხრიდან) ერთგვარ Constanta-დ ამ სიტყვასთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

ა) სიტყვის განმარტება მართებულია გაგებული იყოს, როგორც ხალხის (ერის) ცნობიერებაში ამა თუ იმ მოვლენის არსის ფიქსაცია, მოცემული სიტყვიერი ფორმის (კონსტრუქციის) სახით.

ბ) ჯეროვანი განმარტების მოდელის შექმნის ძიება შესაძლებელია წარმართული იყოს სხვადასხვა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიმართულებით.

წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებულია სიტყვის „ქორწინება“, როგორც „სიტყვა-ნიშანის“ არსობრივი განმარტება, ქრისტიანული მსოფლმხედველობის სიბრტყეში. განმარტების მოდელის აგებისას გამოყენებულია კარლ იუნგის პიროვნების ანალიტიკური თეორია, კერძოდ კი ხსენებული თეორიის ის ნაწილი, რომელიც ეხება „კოლექტიური არაცნობიერის“ (Collective unconscious) ცნებას.

კარლ იუნგის თეორიის მიხედვით, „კოლექტიური არაცნობიერი“ პიროვნების ფსიქიკის ყველაზე ღრმა დონეა, რომელშიც განთავსებულია მოგონებების და ხატების ის სპექტრი, რომელთა სიმრავლე მას მემკვიდრეობით (უფრო ზუსტად – გენეტიკურად) გადაეცემა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უნივერსალური ნიშან-ხატები, რომლებიც არიან მოთავსებულნი კოლექტიურ არაცნობიერში, თავის გამოხატულებას პოულობენ ისეთ ფსიქიკურ წარმონაქმნში, როგორიც არის „არქეტიპი“ (იუნგის ტრანსკრიფცია – “Archetype”).[1]

მნიშვნელოვანია ასევე ის მოსაზრება, რომლის მიხედვით ერის (ნაციონალური) ცნობიერების ფუძეს წარმოადგენს „კოლექტიური არაცნობიერი“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სიტყვის „ქორწინება“ არსობრივი განმარტების ლოგიკური ჯაჭვი შესაძლებელია წარმართული იყოს შემდეგი მიმართულებით:

სიტყვა „ქორწინება“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „ქორწილი“.

მართებულად მიგვაჩნია მისი განხილვა, სიტყვის კონსტრუქციის სიბრტყეში, როგორც შედეგი ორი სიტყვის „ქორწილი“ და „ნება“ სინთეზირების პროცესისა.

სიტყვა „ქორწილი“ ზემოჩამოყალიბებული პოზიციის მიხედვით შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს, როგორც კონსტრუქცია შედგენილი სამ ნაწილისაგან – „ქ-ორწილი“.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ასო-ნიშანი ქ – (ქანი) სულხან-საბა ორბელიანის განმარტების მიხედვით ნიშნავს ქებას[2], იქვე[3] „ქ“ ა ქრისტესა, ქარაგმით ესრე(თ) ითქმის“. ქარაგმა არის – „ასონაკლების ნიშანი“.

---

1 Jung. C. G. (1936-1969) The archetypes and the collective unconscious. In the collected works of C.G.Jung /Vol.9/. Princeton, NJ: Princeton University Press.

2 ლექსიკონი ქართული, სულხან-საბა ორბელიანი, „მერანი“, თბილისი, 1993, ტ.II, გვ. 209

3 იქვე, გვ. 212

აღსანიშნავია, რომ ქართული ეროვნული ცნობიერება არ გამიჯნავს ერთმანეთისაგან ქრისტეს და ღმერთს, როგორც სხვადასხვა შინაარსის მქონე ცნებებს. უფრო მეტიც, იგი ერთგვარ იდენტიფიცირებას ახდენს და აიგივებს ხსენებული ცნებების შინაარსობრივ დატვირთვას. ეს გარემოება ნიშნავს იმას, რომ როდესაც ქართულ მეტყველებაში იხმარება სიტყვა „ქრისტე", ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში იგი განიცდის იდენტიფიკაციას სიტყვასთან „ღმერთი".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია განსახილველად წარმოდგენილი იყოს შემდეგი კონსტრუქცია:

ასო-ნიშანი – ქ, (ქრისტე).

P.S. „უფალი ღმერთი" ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში გვევლინება იუნგის თეორიის მიხედვით და „კოლექტიური არაცნობიერის" ცნებაზე დაყდრნობით, როგორც ერთი შინაარსობრივი დატვირთვის მქონე სიტყვა-ნიშანი გაიგივებული სიტყვა-ნიშანთან „ქრისტე".

ორ – სულხან-საბას განმარტებით ნიშნავს ორის ნაკვეთს[4]. იქვე სიტყვა „ორი"-ს შესატყვისად სულხან-საბას გამოყენებული აქვს სიტყვა „ორ". იქვე[5], – „ორ – ერთი და ერთი".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვიღებთ განმარტების შემდეგ კონსტრუქციას: სიტყვა „ორ" – „ერთი და ერთი", „ორი".

წილი – სულხან საბას განმარტებით ნიშნავს „ბედ-ნაწილს, მოწილეს, ნაწილს"[5]. ჩვენ მიერ მოცემულ ასპექტში სიტყვა-ნიშანი „წილი" ნიშნავს – ნაწილს.

ნება – (გაგებული, როგორც სიტყვა-ნიშანი) სულხან-საბას მიერ განმარტება შემდეგნაირად: „აღრჩევა ერთისა რასამე მრავალთაგან მოგონებათა კეთილთა, გინა ბოროტისა"[6], იქვე „ნებსითი არს არცა იძულებით, არცა უმეცრებით ქმნული", იქვე „ნებათაგანი არს ნება არსებისა, გონიერისა, სიტყვიერისა, გულის სათქმელისა მიმართ სურვილი"[7].

ყოველივე ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე სიტყვის „ქორწინება", როგორც სიტყვა-ნიშანის არსობრივი განმარტება გვესახება შემდეგნაირად:

1. ასო-ნიშანი ქ (ქანი) – უფალი ღმერთი;
2. სიტყვა „ორ" – ორი;
3. სიტყვა „წილი" – ნაწილი;
4. სიტყვა „ნება" – არჩევა ერთისა რასამე მრავალთაგან.

ზემომოცემულ მდგომარეობათა შეჯერების წყალობით ვიღებთ შემდეგს:

სიტყვა „ქორწინება" ნიშნავს – ღმერთის ორი დამოუკიდებელი ნაწილის მიერ გაკეთებულ არჩევანს.

დასკვნა:

1. სიტყვა „ქორწინება" კარლ გუსტავ იუნგის პიროვნების ანალიტიკური თეორიის, კერძოდ კი ცნების „კოლექტიური არაცნობიერი"-ს გამოყენების და ქრისტიანული მსოფლმხედველობის სიბრტყეში განხილვით არსობრივ ასპექტში განიმარტება, როგორც – ღმერთის, (გაგებული ერთიანი მოცემულობის სახით) შემადგენლობაში არსებული და მისი განუყოფელი ორი ნაწილის მიერ გაკეთებული ქმედება – „არჩევანი".

2. ნაშრომში განხილული სიტყვა „ქორწინება" ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქართული სიტყვა მატარებელია იმ შინაარსობრივი დატვირთვისა, რომელიც მიღებულია, იდენტიფიცირებული და აღქმულია ერთგვარ Constanta -დ ქართული საზოგადოების მიერ, შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს, როგორც ხალხის (ერის) ცნობიერებაში ამა თუ იმ მოვლენის ფიქსაცია (ანაბეჭდი), რომლის არსებობის ფორმა არის სიტყვა.

3. სიტყვა „ქორწინება" თავისი აგებულობის სპეციფიურობით თვით იძლევა იმ შინაარსობრივი შევსების აღქმის (და აგრეთვე გაგების) საშუალებას, რითიც ის იხმარება და გამოიყენება თანამედროვე ქართულ ენაში, კერძოდ კი იურიდიულ ლექსიკაში, სადაც ეს სიტყვა გამოიყენება როგორც ტერმინი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიტყვა „ქორწინება" თავისი თავის განმსაზღვრელია. ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ხსენებული სიტყვის არსობრივი დატვირთვა, რომელიც ჩამოყალიბებულია და ფიქსირებულია ეროვნულ ცნობიერებაში დიდად არ განსხვავდება საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1106-ე მუხლში არსებული დეფინიციისაგან, რომელშიც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო გვევლინება, ერთგვარ „ტრანსცენდენტურ ობიექტად".

4 იქვე. ტ.I, გვ. 605-606.
5 იქვე. ტ.II, გვ. 377.
6 იქვე. ტ.I, გვ. 588.
7 იქვე. ტ.I, გვ 588-589.